№ 113 მთავრობის მოამგე

უოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. კვირა, მაისის 23 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ოთხშაბათს, მაისის 26-ს საქართველოს დამოუკიდებლობის მეორე წლის თავზე სააღლუმო სპექტაკლი პირველად ქართული ორგინალური

ბალეტი 3 მოქმედებათ „შეეარდენის“ მონაწილეობით

სიყვარულის წამალი

თ. ვახვახიშვილის მონაწილეობით სახელ. თეატრის გაძლიერებული ბალეტი და საოპერო ხორო. დადგმა ს. ვაკარეცის და ა. წუწუნავასი. 530 1—1

სახელმწიფო თეატრი

იწვევს სახელმწიფო თეატრში გუნდის მომღერლებს

ქალთა და კაცთ, რომელთაც იციან კითხვა ნოტებისა. ჯამაგირის გარდა მიეცემათ სრული სასურსათო ხვედრი. მსურველთ სთხოვენ ეხლავე ჩაეწერონ სახელმწიფო თეატრის კანტორაში 12 საათ. ნაშუადღ. 2 საათ. და 7—9 საათ. საღამოს. ხმების გასინჯვა მოხდება ამ მოკლე ხანში, რის ცნობაც შეიძლება გაიგოს თეატრის კანტორაში. 3—1 540

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ შაბათს, მიმდინარე მაისის 29-ს საღამოს 7 საათზე გამგეობის ბინაზე (რესპუბლიკის ქუჩა № 8) დანიშნულია აქციონერთა საგანგებო

529 **საზოგადო კრების გაგრძელება** 2—2

საქართველოს რესპუბლიკის

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ

ამა წლის მარტის 13-ს კავკასიაში ტყავისა და ჩულის წარმოების ა. ზარგარიანცის და ფ. ვარტაზარიანცის სააქციო საზოგადოების წესდების დამტკიცების გამო,—ამით ბ. ბ. აქციონერებს თხოვენ შეიტანონ თავისი გადასახადი, რათა მიიღონ სათანადო დროებითი მოწმობები. 524 1—1

ქ. ტფ. მილიციის უფროსი

ამით ატყობინებს პატრონს ნაპოვნი შავი ტყავის საფულისას

რომელშიაც იყო (699 მ.) ექვსასი ოთხმოცდა ცხრამეტი მანეთი. პატრონი ზემოხსენებული საფულესი, უნდა გამოცხადდეს მილიციის უფროსისსამმართველოში სათანადო საბუთებით. 17 მაისი 1920 წ. 3—1 528

სენაკის სამაზრო ეროგის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე მაისის 27-ს დილის 11 საათზე გამგეობის დარბაზში საჯარო შეჯიბრებით იჯარით გაიცემა საზაფხულო საძოვარი მთა 1) „ასხი“ და 2) "ჩეგოლა ლებარდეს“ რაიონები. პირველის ფასი დაიწყება 200.000 მანეთიდან—ხოლო მეორესი მინერალური წყლებიანათ 200.000 მან. დაწვრილებით პირობების გაცნობა მსურველს შეუძლია გამგეობაში ყოველ საშეცადინო დღეებში.

თუ დანიშნულ დღეს შეჯიბრება არ შესდგა, ხელმეორედ მოხდება 30 მაისს.

521 3—3

გამოცდილი დურგალი

ეძებს სამუშაოს, თავის დაზგა იარაღით. მისამართი: ბათუმის ქუჩა, № 12. დიდუბე, ალ. ბიბილური. 1128 3—2

ოფიციალური განყოფილება

განკარგულებანი

ქ. ტფილისის კომენდანტისა.

19 მაისი, 1920 წ. № 2.

1.

მიუხედავათ ჩემი ბრძანებისა № 1-ლი, ზოგიერთი სამხედრო პირები, რომელნიც არ ირიცხებიან საქართველოს რესპუბლიკის ჯარში, კვლავ განაგრძობენ სამხედრო პირებისადმი მითვისებულ ფორმის და ნიშნების ტარებას, როგორიც არის: სხვა და სხვა ფერის თავის სამკაულები, ნიშნები მათზე, სამხრეულები და საყელოზედ სატარებელი სამკაულები და სხვა. განმეორებით ვამტკიცებ რა ზემო მოყვანილ ბრძანებას აუცილებლად ასრულებისათვის, ვაცხადებ, რომ დაუდევარნი მიცემულ იქნებიან პასუხის გებაში და დაპატიმრებულნი.

2.

ჩემს მიერ შემჩნეულია, რომ ზოგიერთი სამხედრო პირები, გამოდიან რა ქალაქში სამხედრო ფორმით, ატარებენ ისეთ სამხრეულებს, რომლებზედაც არ არის ნიშნები აღმნიშვნელნი იმისა თუ რომელ ნაწილს ეკუთვნიან ისინი.

გაცნობებთ რა ამას, ვბრძანებ უსათუოდ დაცულ იქნას დაწესებული ფორმა.

3.

ყველა სამხედრო პირთ, როგორც ნამდვილ-სამსახურში მყოფთ აგრეთვე იმათაც, რომელნიც სათადარიგო ჯარში არიან, სამხედრო ორდენის ტარებისა ევალებათ თან იქონიონ ორდენით დაჯილდოების დამამტკიცებელი სათანადო საბუთი.

იმ პირთ, რომელთაც არ აქვთ ზემო აღნიშნული საბუთი, კატეგორიულათ ეკრძალებათ ტარება ამ ორდენისა.

4.

ყველა ყოფილ სამხედრო პირთ, გარდა მის სიებში მოსამსახურეთა, ევალებათ გამოცხადდენ კომენდანტის სამმართველოში (ბროსსეს ქ. № 2) მათი აღრიცხვაზედ აყვანისათვის სამი დღის განმავლობაში ამა ბრძანების გამოქვეყნებისა.

20 მაისი, 1920 წ., № 3.

1.

თანახმად გარნიზონის სამსახურის წესდებისა ვაცხადებ, რომ გარნიზონის ჯარები ვალდებულნი არიან ურყევათ აასრულონ ყველა ჩემს მიერ გაცემული განკარგულება, რომელიც ეხება სადარაჯოდ მიჩნეულობას და, აგრეთვე, საზოგადოთ აღსრულებას გარნიზონის სამსახურისა.

2.

ყოველ თვითეულჯერ, ერთი დღით ადრე ქალაქ ტფილისში რომელიმე ჯარის ნაწილის შემოსვლისა, სავალდებულოა მემცნოს მე კართა მებინის ხელით რიცხვი ქალაქში შემომსვლელ ან გამვლელ ნაწილებისა.

3.

ქალაქ ტფილისში მომსვლელი მხედრები, რომლებიც არ შემოდიან გარნიზონის შემადგენლობაში, ვალდებული არიან გამოცხადდენ ჩემთან დადგენილ წესისამებრ, წარმოდგენით თავისი ბილეთებისა და მოწერილობებისა.

4.

კომენდანტის სამმართველოს ტელეფონის ნომერი არის 1—44.

პოლკოვნიკი **მიქაშავიძე.**

კომენდანტის ადიუტანტი კაპიტანი **ძაძიგური.**

—

მთავრობის საქმეთა მმართველისა.

19 მაისი, 1920 წ., № 15.

მთავრობის თავმჯდომარის ბრძანების თანახმად, მისი ადიუტანტი ალექსანდრე გიორგის ძე ჩხეიძე დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან ამა წლის მაისის 19-დან.

მთავრობის საქმეთა მმართველი **ჯაფარიძე.**

—

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარისა.

№ 7.

1. მიღებულია დამფუძნებელი კრების კანცელარიის სამსახურში და განწესებულ იქნა დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკის გამგის თანაშემწედ ვლადიმირ ელსნერი ამა მაისის 15-დან.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ს. მდივანი.**

—

შინაგან საქმეთა მინისტრის.

17 მაისი, 1920 წ., № 38.

გადარიცხულია: შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ბუხჰალტერი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ბასილაია ამავე სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლად ამა წლის 1 მაისიდან.

მინისტრის ამხ. **ჭიჭინაძე.**

კანცელარიის დირექტორი **გეჯელაშვილი.**

—

იუსტიციის მინისტრისა.

13 მაისი, 1920 წ., № 141.

დაინიშნოს ტფილისის № 1 ციხის უფროსის დროებით თანამდებობის აღმასრულებლად მელიტონ ანტონის ძე დუმბაძე ამა წლის მაისის 14-დან.

№ 143.

დაინიშნოს არსებულ კანონების გადამსინჯავ კომისიის წევრად არტემ მიხეილის ძე ახნაზაროვი ამა წლის მაისის 14-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

—

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.

15 მაისი, 1920 წ., № 142.

თავისუფლება მიეცეს ერთი თვის ვადით ახალციხის მაზრის საპყრობილეს უფროსის დროებით თანამდებობის აღმასრულებელს ივლიანე ბეჟანის ძე მახარაძეს ამა წლის მაისის 14-დან.

იუსტიციის მინისტრის მაგ. **გ. ჟორდანია.**

—

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

12 მაისი, 1920 წ., № 173.

გადმოყვანილ იქმნას ტფილისის საბაჟოს აქციზის ინსპექტორი ყარამან ნიკოლოზის ძე არდიშვილი თანახმად თავისი თხოვნისა, ტფილისის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ამა წლის 16 მაისიდან.

12 მაისი, 1920 წ., № 174.

დანიშნულ იქმნას ტფილისის აქციზის ინსპექტორის უფროსი თანაშემწე ნიკოლოზ დიმიტრის ძე სრესელი ტფილისის საბაჟოს აქციზის ინსპექტორად ამა წლის 16 მაისიდან.

12 მაისი, 1920 წ., № 175.

დანიშნულ იქმნას ქუთაისის მაზრის აქციზის ინსპექტორის უმცროს თანაშემწედ ნიკოლოზ ბეგლარის ძე დემეტრაძე ამა წლის 11 მაისიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი **ხ. ავალიანი.**

—

მიწათ-მოქმედების მინისტრისა.

19 აპრილი, 1920 წ. № 129.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანაშემწის თანამდებობაზე როზენფელდი 16 აპრილიდან 1920 წ.

19 აპრილი, 1920 წ., № 130.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანაშემწის თანამდებობაზე ნიკიტა ივანეს ძე საფრონოვი 16 აპრილიდან 1920 წ.

19 აპრილი, 1920 წ., № 131.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანამდებობაზე კონსტანტინე მაქსიმოვი 16 აპრილიდან 1920 წლისა.

21 აპრილი, 1920 წ., № 132.

ინიშნება: რომან თევდორეს ძე ნატროშვილი ყარაიაზის საცდელ მინდვრის მემინდვრეთ ა. წ. აპრილის 1-დან და ევალება ყარაიაზის მამულში მებამბეობის საცდელ ნაკვეთის გამგებლობა.

22 აპრილი, 1920 წ., № 133.

ინიშნება: ვ. ს. გოზალაშვილი მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლათ.

22 აპრილი, 1920 წ., № 134.

ინიშნებიან: სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებელი ანტონ ალექსის ძე სვანაძე მინისტრის საბჭოს მდივნათ ა. წ. 1 აპრილიდან.

ნინო მიხეილის ასული ცისკარიშვილი წყალთა განყოფილების საქმის მწარმოებელის თანაშემწეთ ა. წ. 15 აპრილიდან.

23 აპრილი, 1920 წ., № 135.

დანიშნულია: აგრონომი ნიკოლოზ ყავრიშვილი ციხის-ჯვრის ფერმის გამგეთ ა. წ. აპრილის 20-დან.

ანნა ყავრიშვილისა იმავე ფერმის სამეურნეო ნაწილის გამგეთ ა. წ. აპრილის 20-დან.

26 აპრილი, 1920 წ., № 136.

აღმატებულ იქნას: მიწის მზომლის ხარისხში მიწის მზომლის თანაშემწე მაჩაიძე 1 აპრილიდან 1920 წ.

26 აპრილი, 1920 წ. № 137,

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანამდებობაზე პ. ა. ცირულნიკოვი 16 აპრილიდან 1920 წ.

27 აპრილი, 1920 წ., № 138.

ინიშნება: ეპიფანე არსენის ძე კალანდაძე მესამე ხარისხის ბუხჰალტერათ ა. წ. 1 აპრილიდან.

30 აპრილი, 1920 წ., № 139.

დათხოვნილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან შორაპნის მაზრის საახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის გამგე პეტრე კონსტანტინეს ძე წივწივაძე ა. წ. 1 მაისიდან სალიკვიდაციო ჯილდოს მიუცემლობით.

30 აპრილი, 1920 წ., № 140.

დაინიშნა: საქართველოს რესპუბლიკის საახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის გამგეთ ვლადიმერ კაპიტონის ძე გაწერილია ამა წლის 1 მაისიდან.

30 არილი, 1920 წ., № 141.

დათხოვნილია: სამსახურიდან და სრულიად თანამდებობიდან ბორჩალოს მაზრის III რაიონის ფონდის გამგე კონსტანტინე ფილიპეს ძე შარაშიძე ა. წ. 1 აპრილიდან სალიკვიდაციო ჯილდოს მიუცემლობით.

30 აპრილი, 1920 წ., № 142.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ა. გოგიბერიძე ტყის გამგის თანაშემწე, თანახმად მისივე თხოვნისა, ოჯახურ საქმეების გამო.

მაისის 29 და 30-ს ფრონტის დღეა

30 აპრილი, 1920 წ., № 143.

დათხოვნილი: სამსახურში გამოუცხადებლობის გამო გადასახლების განყოფილების საქმისწარმოებელი ვასილ მთვარელიშვილი ამა წლის 1 მაისიდან.

მიწათ-მოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.**

—

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს უფროსის

3 მაისი, 1920 წ., № 24.

გამწესებულნი არიან: ყოფილი მოხელეები: გრიგოლ ჩიტოევი, ევტიხი იაშვილი, ილია ნიკოლაიშვილი, ოლლა წერეთელი ახალ მოხელეებათ: ჩიტოევი მეხუთე ხარ. თიონეთში, იაშვილი მეექვსე ხარ. ონში, ნიკოლაიშვილი მეექვსე ხარ. სოხუმში და წერეთელი მეოთხე ხარ. თბილისის მეხუთე სამოქალაქო განყოფილებაში, ყოფილი ფოსტალიონები ვიქტორ შენგელაია, სარქის იარალიანცი და მოქალაქე აბრამ ბარძიმაშვილი მეორე კატეგორიის ფოსტალიონებათ: შენგელაია—წალენჯიხში, ბარძიმაშვილი სართაჭალაში, იარალიანცი თბილისის ფოსტაში; შენგელაია 1 მაისიდან, იაშვილი 3 მაისიდან, იარალიანცი 5 მაისიდან, და დანარჩენნი 6 მაისიდან 1920 წლისა.

დანიშნულნი არიან: მეოთხე ხარ. მოხელე ზესტაფონის კანტორისა იოველ საყვარელიძე შორაპნის განყოფილების უფროსათ, წალენჯიხის ფოსტალიონი ძიხეილ კალანდია მეექვსე ხარ. მოხელეთ ფოთში, უფროსი მექანიკოსი თბილისის ტელეფონის ქსელისა იაკობ ვარლამოვი რესპუბლიკის საერთაშორისო და საქალაქთშორისო ტელეფონის ქსელის უფროსათ; კალანდია 1 მაისიდან, საყვარელიძე 6 მაისიდან და ვარლამოვი პირველ იანვრიდან 1920 წლისა.

გადაყვანილნი არიან: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: ფოთის მე-3 ხარ. სერგო ნარმანია, თბილისის ტელეფონის ქსელის მეექვსე ხარ. ანნა-ნატალია ჭრელაშვილი თბილისის მეხუთე სამოქალაქო განყოფილების მეოთხე ხარ. ანნა ჭეიშვილი და ფოსტალიონები: ნატანების ივანე ჟორდანია, თბილისის ფოსტის კანტორის კალისტრატე სარიშვილი იმავე წოდებებით: ნარმანია ბორჯომში, ჭრელაშვილი ქუთაისის ტელეფონის ქსელზედ, ჭეიშვილი თბილისის ფოსტაში, ჟორდანია რკინის გზის ფოსტის განყოფილებაში, სარიშვილი პირველ სამოქალაქო განყოფილებაში თბილისში; ჭრელაშვილი და ჟორდანია პირველ მაისიდან, ნარმანია, ჭეიშვილი და სარიშვილი 6 მაისიდან 1920 წლისა, ხოლო ნარმანია, ჭრელაშვილი და სარიშვილი თანახმად თხოვნებისა.

დათხოვნილნი არიან სამსახურიდან: ზედამხედველი თბილისის ტელეფონის ქსელისა აკაკი ლომაია და ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: თბილისის ტელეგრაფის მეორე ხარისხის დიონის ბარჟიცკი, სამტრედიის მეოთხე ხარ. დიმიტრი წულუკიძე და სოხუმის კანტორის: 1 ხარ. მიხეილ გლემბოცკი, მეორე ხარ. გრიგოლ პლახტირია და თამარა ბერნერი, მესამე ხარ. თედორე მაკერბუა, ვასილ ბერნერი, პოლიკარპე ტიმჩენკო, თედორა კოტჩენკო, მეოთხე ხარ. მარიამ შილო და პეტრონელია სიმონოვა, მეხუთე ხარ. რუსუდან კლიუზე და ეფრემ ტიმჩენკო; მაკერბუა 6 აპრილიდან, ლომაია და წულუკიძე პირველ მაისიდან, ბარჟიცკი 3 მაისიდან, დანარჩენნი ათნი 6 მაისიდან 1920 წლისა, ხოლო წულუკიძე თანახმად თხოვნისა, გლემბოცკი, პლახტირია, თამარა ბერნერ, ვასილ ბერნერი, პოლიკარპე ტიმჩენკო, კოტჩენკო, შილო, სიმონოვა, კლიუზე და ეფრემ ტიმჩენკო შტატების შემცირების გამო.

გამოიცხელნი მოსამსახურეთა სიიდან: თიანეთის ფოსტალიონი რაჟდენ აბრამიშვილი სამხედრო სამსახურში მიღების გამო პირველ მაისიდან 1920 წლისა.

სამმართველოს უფროსი **მ. ელაძე.**

არა ოფიციალური განყოფილება

გენერალური შტაბიდან

I. თანახმად მთავრობის ამა წლის 27 აპრილის დადგენილებისა, მობილიზაციით გაწვეულ უნდა იქნან რესპუბლიკის ყველა 1888, 1889, 1894 და 1895 წლებში დაბადებულნი სათადარიგო და მოლაშქრე ჯარის კაცნი.

II. ვინაიდან სათადარიგო ოფიცერთა მობილიზაციის გაწვევის განცხადებაში სწორეთ არ იყო აღნიშნული წლოვანება და მაზრები გასაწვევ ოფიცერთა, ცხადდება სახელმძღვანელოთ შემდეგი:

1) გაწვევა ეხება მხოლოდ ქალ. ტფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის მიერ აღრიცხვაზე მიღებულ რესპუბლიკის ქვეშევრდომ ყველა ქვეითა ჯარის სათადარიგო არა უხნეს 45 წლისა ოფიცერთ, გარდა რუსის ეროვნებისა;

2) გაწვევა ეხება ავრეთვე ზემო აღნიშნულ კატეგორიის ქვეითა ჯარის იმ სათადარიგო ოფიცერთ, რომლებიც სხვა და სხვა მიზეზების გამო თუმცა არ იყვნენ აღრიცხვაზე მიღებულნი, მაგრამ სცხოვრობენ ქ. ტფილისში ამა წლის 17 თებერვლიდან.

შენიშვნა: ყველა ამ პუნქტებში აღნიშნული ის ოფიცრები, რომლებიც მობილიზაციით დროზე არ გამოცხადდებიან, ვაიწვევიან ჯარში, როგორც რიგის ჯარისკაცები, თანახმად სამხედრო და შინაგან საქმეთა უწყებათადმი 1919 წლ. 28 ნოემბრის № 215 მთავრობის ბრძანებისა, თუ გაწვევა მოუწევს მათი წლოვანების ჯარისკაცებს.

III. ქვეშევრდომობის საკითხის გარჩევის დროს ყველა სამხედრო აღრიცხვის ნაწილთა უფროსებს ევალებათ იხელმძღვანელონ მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეობის კანონით, რომელიც გამოცხადებულია მთავრობის მოამბე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1919 წლის 6 ივნისის 122 ნომერში და სათანადო საკონსულოების მიერ გაცემულ პასპორტებით, თუ ეს პასპორტები კანონიერ წესით გატარებულია შესაფერ კომისარიატების რეგისტრაციით. შეუძლებელია ხელმძღვანელობა სხვა და სხვა ნაციონალურ საბჭოთა მიერ გაცემულ მოწმობებით, ვინაიდან ამ საბჭოებს არა აქვთ ასეთ მოწმობების გაცემის უფლება.

აღმზრდელნო, მასწავლებელნო, განუმარტეთ თქვენ მოწაფეთ დიადი მნიშვნელობა სამშობლოს დამცველთადმი პატივისცემისა. არც ერთი მოწაფე არ დარჩეს, რომელმაც შეძლებისა დაგვარად საჩუქარი არ უძღვნას ფრონტს, კვირას 23 მაისს, სასახლეში მიიღებენ მათგან საჩუქრებს.

დამფუძნებელი კრება

მაისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ივ. თაყაიშვილი.**

ქრ. შ ვ ა ბ ი ძ ის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები კანონ-პროექტისა საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელიარიის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ; კანონ-პროექტი ფოთის საკარანტინო, სოხუმის საზღვაო საექიმო და სანაინის სანაპირო საექიმო სამეთვალყურო სადგურების შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ; საბოლოო ტექსტი დეკრეტისა აბრეშუმის ჰარკის, თამბაქოს და მატყლის მწარმოებელთათვის სესხის მისაცემად 75.000 მან. გადაცემისა და დეკრეტი 219.745.364 მან. გადადებისა სამხედრო სამინისტრო 1919—1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვის დამატებად.

დეკრეტი სოციალური დახმარებისა და მისი ორგანიზაციისა.

ი. ფირცხალაიშვილი (მომხს.) აღნიშნავს, რომ წარმოდგენილ დეკრეტს დროებითი ხასიათი აქვს, საპენსიო წესდება, რომელსაც დიდი მუშაობა ესაჭიროება ჯერ-ჯერობით არ არის შედგენილი, შრომის უნართ დაკარგულთ, გაჭირვებულთ დაუყონებლივ ესაჭიროებათ დახმარების აღმოჩენა და ამ დეკრეტის თანახმად შრომის სამინისტროსთან დაარსდება სპეციალური კომისია თავის მცირეოდენი შტატით, რომლის ხელშიაც იქნება შრომის უნარ დაკარგულთათვის დახმარების რაოდენობის განსაზღვრა და მთელი საქმის გაძღოლა. სოციალურ დახმარებისათვის საჭიროა, ერთი წლის განმავლობაში 26 მილ. მანეთი. ამ დეკრეტის თანახმად დახმარება არ აღმოეჩინებათ იმათ, ვინც შრომის უნარი დაჰკარგეს ჯარში, იმათთვის ცალკე კანონ-პროექტები არის. დახმარება აღმოეჩინებათ საქართველოს ქვეშევრდომთ, მაგრამ დახმარება მიეცემათ აგრეთვე არა ჩვენ სახელმწიფოთა ქვეშევრდომთაც, რომელთაც უმეტესი ნაწილი თავიანთ სამსახურისა საქართველოში გაუტარებიათ და უკანასკნელ ორი წლის განმავლობაშიაც აქ უცხოვრიათ.

ოსმალეთის ფულებით მოსყიდული „წითელი" ბანდები გვემუქრებიან; მათ ასალაგმავად იბრძვიან ჩვენი ერის საუკეთესო შვილნი, დაუმტკიცოთ, რომ ჩვენც მათთან ვართ!

საბიუჯეტო საფინანსო კომისიის სახელით **დ. ონიაშვილი** აცხადებს, რომ კომისია თანახმა არის წარმოდგენილ დეკრეტისო.

გრ. ვეშაპელი. მოხელეთა მდგომარეობა მეტად უნუგეშოა. საჭიროა სახელმწიფომ ასევე იზრუნოს მოხელეთათვის, როგორც მუშა-მოსამსახურეთათვის. მუშებს აქვთ ძლიერი ორგანიზაციები-პროფესიონალური კავშირები, მუშებს აქვთ საშუალება თავიანთ ინტერესები დაიცვან, მოხელენი კი ამ მხრივ სუსტნი არიან. საჭიროა სასწრაფოდ იქნას შემუშავებული პენსიის საკითხი ყველასათვის. ამ დეკრეტით დახმარება ეძლევათ ინვალიდებს და უსახსროებს. დახმარება უნდა მიეცეთ ავრეთვე მათ, ვინც შრომის უნარს არ არის მოკლებული, მაგრამ დიდი ხნის ნამსახურია. ძნელია ასე დაყოფა მოხელეთა უსახსრო და სახსრიანი. პენსიის საკითხის მოგვარებას სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს. ბევრი მოხელე დაუძლურებული მაინც განაგრძობს მუშაობას, რადგანაც პენსიის მოლოდინშია; როდესაც პენსიის საკითხი გადაწყვეტილ იქნება, ასეთი მოხელეები გავლენ სამსახურიდან და ამათ ადგილს დაიჭერენ უფრო ახალგაზრდანი, რაც საქმისთვის სასარგებლო იქნება.

ილ. ფირცხალაიშვილი. მართალია ვეშაპელი, როცა ამბობს, რომ ბევრი მოხელე გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებაო. საპენსიო წესდებას დამუშავება სჭირია და წარმოდგენილ დეკრეტს მიზნად აქვს დასახული დროებითი დახმარების აღმოჩენა პენსიების საკითხის გადაწყვეტამდე.

რაც შეეხება ვეშაპელის განცხადებას, რომ ჩვენ ამ დეკრეტით შედარებით უპირატესობას ვაძლევთ მუშებს. ეს არ არის მართალი. ამ დეკრეტის თანახმად, დახმარება ერთნაირათ ეძლევა ყველას. დახმარება მიეცემა ყველას იქნება მოხელე თუ მუშა. რაც შეეხება იმ პირთ, რომლებიც 25 წელს მუშაობენ სამსახურში, მაგრამ შრომის უნარი არ დაუკარგავთ, ასეთ პირებს არ მიეცემათ დახმარება. მათ შეუძლიანთ მაშინ ნიატოვონ სახელმწიფო დაწესებულება და კერძო პირთან იმსახურონ, დახმარება კი მიიღონ.

კამათი შეწყდა. გადადიან მუხლობრივ განხილვაზე, რაც იქნა უკამათოდ მიღებული. ს.-დ. ფრაქციის წინადადება, რომ დახმარება არ მიეცეთ ძველ რეჟიმის დროს დამცველ რაზმში და ჟანდარმერიაში ნამსახურთ, ერთხმად იქმნა მიღებული.

ხ. მდივანის მოხსენებით უკამათოდ იქნა მიღებული დეკრეტები: სახალხო გვარდიის მობილიზაციით გამოწვეული ხარჯის დასაფარავად 55.400.000 მ. გადადებისა, დეკრეტი სახალხო გვარდიის 1919—1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამატებად 28,769,789 მ. და 48 კაპ. გადადების შესახებ.

მისივე მოხსენებით მოხდა პირველი (ზოგადი) განხილვა კანონპროექტისა სამხედრო მფრინავთათვის ჰაერში ფრენისათვის გასამრჯელოს მიცემის შესახებ.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მოხდა (პირველი (ზოგადი) განხილვა კანონპროექტისა საქართველოს სახელმწიფო ბანკის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საზღვარ გარეთ სასწავლებლად მყოფ სახელმწიფო სტიპენდიანტებისათვის 12 მილ. მან. გადადებისა.

გაგრძელება მსჯელობისა აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ დავისა და საჩივრის განხილვის წესის დეკრეტის შესახებ.

მელ. რუხია აღნიშნავს, რომ მიზანი ამ წარმოდგენილ დეკრეტისა არის ის, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით იქნას გატარებული აგრარული რეფორმა. აგრარულ რეფორმების ცხოვრებაში გატარება დაკისრებფლი აქვთ ხალხის ნდობით აღჭურვილ ორგანოებს, ერობებს და იმედიც გვაქვს, რომ უკანასკნელნი დაკისრებულ საქმეს ღირსეულად და დაჩქარებით შეასრულებენ. შემდეგ საკითხს იურიდიული თვალსაზრისით ეხება და ამტკიცებს წარმოდგენილ დეკრეტის მიზანშეწონილებას.

გვაზავა აღნიშნავს, რომ აგრარულ რეფორმის კანონი არის მიღებული დამფუძნებელ კრების მიერ, მისი ასრულება დავალებული აქვს სამინისტროს. ამ კანონის ფარგლებში ხდება დავა, მაშინ როგორ შეიძლება თვით სამინისტრო არჩევდეს საჩივრებს.

ნ. ხომერიკი. მე მეგონა, რომ ბატონი გვაზავა, გაიმეორებდა იმას, რაც წინა სხდომაზე სთქვა. იგი დაამტკიცებდა, რომ სასამართლოს არ შეუძლიან წინასწარ შეაჩეროს საქმის გარჩევამდე აგრარულ რეფორმის განხორციელება. მან ახლა ამ საკითხს გვერდი აუხვია. აქ ლაპარაკი იმაზე კი არ არის, რომ სენატს არ სურდეს აგრარულ რეფორმის გატარება. არა თვით წესი სასამართლოში საქმის წარმოება არის ხანგრძლივი. გვაზავა იძახდა, რომ როდესაც საქმე შეეხება სახელმწიფოს, ან ხაზინას, მაშინ სასამართლოს არ აქვს უფლება წინასწარ შეაჩეროს სამინისტროს გადადგმული ნაბიჯი. მაგალ. მიწა, რომელიც ვთქვათ მიეცა გლეხს უკან წაერთვას და სხვა. ამის უფლება აქვს სასამართლოს და ამის მაგალითები იყო კიდეც ბევრი. რა შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს ამ გარემოებამ მიწის მუშებზე. გლეხს აძლევთ იმას და არ იცით სასამართლო უკან წაართმევს თუ არა.

ხ. დადიანი აღნიშნავს, რომ აქ სთქვეს სამოქალაქო საქმის წარმოება ძლიერ ჭიანურდებაო. ეს მართალია, მაგრამ ეს საქმეები კანონით უნდა გაარჩიოს პირდაპირ სენატმა, მის კომპეტენციაში შედის მინისტრების მოქმედების გარჩევა და ეს არ მგონია, რომ ძლიერ გაჭიანურდეს. ამ დეკრეტით ირღვევა ის კანონი, რომელიც მიღებულ იქნას დამფუძნებელ კრების მიერ აგრარულ რეფორმის შესახებ.

სიგვიანის გამო მსჯელობა შეწყდა. სხდომის დახურვამდე მიღებულ იქნა შემდეგი საბოლოო ტექსტები: დეკრეტი საზღვარგარეთ მყოფ სახელმწიფო სტიპენდიატებისათვის 12 მილ. მან. გადადებისა. დეკრეტი სახალხო გვარდიის მობილიზაციით გამოწვეულთ ხარჯის დასაფარავად 55.400.000 მან. გადადებისა და დეკრეტი სახალხო გვარდიის 1919—1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამატებად 28,769,759 მ. და 48 კ. გადადების შესახებ და დეკრეტი სოციალურ დახმარების და მისი ორგანიზაციის მოწყობის.

მშობლებო, დაეხმარეთ თქვენ პაწია შვილთ კეთილშობილ საქმეში. გაუმზადეთ მათ პატარა პარკები, ჩანთები, საჩუქრებითურთ ფრონტზე მათ სახელით დასაგზავნათ შიგ იყოს თუთუნი, ასანთი, პაპიროზი, საპონი, თხილი და სხვა ნივთები. ჩაუნერგეთ მათ გულში ერის დამცველთადმი სიყვარული და მათი მოვალეობა.

---

26 მაისისთვის

26 მაისს არ იქნება დაკეტილი სასადილოები, რესტორანები და სხვა სურსათ-საზოგადოთ მოვაჭრე დუქნები.

სტადიონთან გამართულ იქნება სავაჭრო ფანჩატურები სანოვაგის გასასყიდად.

დამზადდდა სადღესასწაულო ნიშნები და სურათები მთავრობისა და დამფ. კრების პრეზიდიუმისა და დამოუკიდებლობის აქტის მინიატიურები, რომლებიც გაიყიდება 26 მაის, ნიშნები სამ-სამ მანეთად, ხოლო სურათები და აქტები ხუთ-ხუთ მანეთად.

ხელოვნების კომისიასთან არსებული ფრონტის სადღესასწაულო კომისია მუშაობს ნაყოფიერად და აგროვებს მრავალ შეწირულებათ დღესასწაულისთვის ფრონტზე გასაგზავნად.

დღეს დილის 11 ს. სასახლეში მოწვეულია სადღესასწაულო კომისიის ყველა წევრები. დასწრება აუცილებელია.

რაოდენიმე მამა, ქმარი, ძმები გმირულად დაეცენ ბრძოლის ველზე. მათი აჩრდილი გვავალებს მათი ოჯახებისათვის ზრუნვას.

ყველა, ყველაფერი ფრონტისთვის

მოწერილი ამბები

ჯავახეთში.

ვინ არ იცის თუ რა უბედურება და ჯოჯოხეთი გამოიარა ჯავახეთმა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში. მაგრამ ყველაფერს დასასრული აქვს და ჩვენი კუთხის ცხოვრებაც თანდათან ნორმალურ კალაპოტში ვარდება. თუ შარშან ხალხი ბალახით იკვებებოდა, წელს ასეთი გაჭირვება აღარ არის და იმედი გვაქს მომავალში კიდევ უკეთ მოეწყობა; საქმე ამის თავდებია ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც ყოველგვარ ზომებს იღებს ამ მხრივ. მთავრობის გადაწყვეტით ახლო მომავალში უნდა მოხდეს ერობის არჩევნები და ამგვარად ჩვენი კუთხეც ელირსება საერობო თვითმართველობას. ხალხი ერობას ცის მანანასავით მოელის, მასში ხედავს შველას.

მაისის პირველ რიცხვებში ჩვენ გვესტუმრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ბ. ივ. ქარცივაძე, რომელმაც დაიარა მთელი მაზრა. ხალხი მთავრობის წარმომადგენელს დიდი აღფრთოვანებით ხვდებოდა. სოფლის ყველა საზოგადოებაში ხდებოდა კრებები, რომელზედაც ბ. ქარცივაძე აცნობდა დამსწრეთ საერთო მდგომაოეობას და მთავრობის პოლიტიკას. ხალხი გულდასმით უსმენდა მას და უზიარებდა თვის ჭირ-ვარამს. ჯავახელებს, რომელთაც არა ერთხელ დასტეხიათ თავს საშინელება ომიანობისა და შინაური ანარქიისა, კარგათ ესმით სიმწვავე დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობისა. ამაში ნათლად დარწმუნდა მთავრობის წარმომადგენელი მაზრაში მოგზაურობის დროს. ხალხი, განურჩევლად ეროვნებისა, (ქართველი, მუსულმანი, სომეხი, რუსი „დუხობორები") ნდობას უცხადებდა და სრულ დახმარებას აღუთქვამდა ჩვენ მთავრობას. განსაკუთრებით აღფრთოვანებით შეხვდა მის ჩამოსვლას ქართველი კათოლიკები სფ. ხიზაბავრაში. „ოღონდ დაგვიძახოს მთავრობამ და მზათა ვართ ქუდზე კაცი გამოვიდეთ ჩვენი სამშობლო საქართველოს დასაცავათ. კმარა რაც გვტანჯეს ჩვენმა მოსისხლე მტრებმა"-ო გაიძახოდა ხალხი.

ბ-ნი ქარცივაძე ამასთანავე რევიზიას ახდენდა ადმინისტრატიულ დაწესებულებათა; მან ხალხში მრავალი ცნობები შეკრიბა ადმინისტრაციის ზოგიერთ წარმომადგენელების შეხახებ. ამას მოყვა ის, რომ ზოგიერთი კომისრები და მილიციის უფროსები გადაყენებულ იქნა სამსახურიდან, ზოგიც პასუხის გებაში მიცემული და შეყროგილი. ამგვარად ადმინისტრაცია განწმენდილ იქნა იმ ელემენტებისაგან, რომლებიც ბოროტად სარგებლობდნენ მთავრობისა და ხალხის ნდობით და ხალხმაც თავისუფლათ ამოისუნთქა. სასურველია მთავრობის, ან დამფუძნებელი კრების წარმომადგენლები ხშირად ესტუმრებოდნენ ჩვენ ბედის ამარათ მიტოვებულ ჯავახეთს.

დრ. ჯავახელი

მეტი ყურადღება და სიყვარული ფრონტს. ვინც ჯარის კაცს გაამხნევებს ის სამშობლოს გაახარებს.

საგარეო საქმეთა მინისტრის ცნობა

— მუსტაფა ქემალმა, რომელიც ანგორის ეროვნულ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს თავმჯდომარეობს, ცირკულიარულად განუცხადებია ყველა იმათთვის, ვინც ანატოლიის ვილაიეტების მოძრაობას ემხრობა, რომ აკრძალულია მეჩეთში პარასკეობით კონსტანტინეპოლის სულთანის მოხსენება.

— პრუსიის ვილაიეტებში ახმედ ანზავურის არმიის რეორგანიზაციის გამო დიდი აღფრთოვანებაა. ჩაჩნელების მცხოვრებნი იარაღდებიან და ანზავურის ჯარს უერთდებიან.

— სინონის რაიონის მცხოვრებლები ქემალისტების წინააღმდეგ არიან დარაზმულნი.

— ფერიდ ფაშის მთავრობამ ქემალ ფაშის მებრძოლ რაზმის წინააღმდეგ მთავარ სარდლად დანიშნა ზეკი-ფაშა. ზეკი-ფაშას დაექვემდებარება ახმედ ანზავური.

— ახლო მომავალში ლონდონში დანიშნულია საერთაშორისო ქრისტიანელთა ყრილობა. მსოფლიო პატრიარქმა თავის წარმომადგენლად ამ ყრილობაზე დანიშნა მიტროპოლიტი ამასიელი.

— ვენეზილოს და ბრიტანეთის კანცლერის ხაზინადრის შორის მოხდა შეთანხმება, რომლითაც უნდა საბერძნეთს გაუგზავნოს საჭირო ფქვილი, რომელიც შეძენილ იქნება კანადაში.

გმირულად დალუპულ მებრძოლთ დარჩათ ქვრივი, ობლები, დავეხმაროთ მათ, შეუშროთ ცრემლები.

უცხოეთი

გენ. დენიკინი ლონდონში.

გენერალი დენიკინი როგორც გაზეთები გადმოგვცემენ ამ ჟამად ლონდონში ყოფილა. დენიკინი სადარბაზოდ ყოფილა ინგლისის სამხედრო მინისტრთან. როგორც ოფიციალური წრეები იუწყებიან გენ. დენიკინის ჩასვლას ლონდონში არავითარი პოლიტიკური კავშირი არა აქვს.

ბალტიის სახელმწიფონი

16 მაისს ქ. რიგაში ბალტიის მხარეს მდებარე სახელმწიფოების კონფერენციის მუშაობა დაწყებულა. ამ კონფერენციის სხდომების მიზანი ყოფილა რომ ნათელ ჰყონ ამ სახელმწიფოების ფედერატიულად შეკავშირების საკითხი.

ენვერ-ფაშა.

„პეტიტ პარიზიენი"ს გადმოცემით ენვერ ფაშა უნდა იმყოფებოდეს ამ ჟამად ქ. ბაქოში თათარ ბალშევიკებთან.

სომხეთის საზღვრები.

სან-რემოს კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე თითქმის საბოლოოდ იყო განხილული სომხეთის საზღვრების საკითხი. საერთოდ ეს საკითხი სომხეთისთვის კარგა გადასწყდა, მაგრამ ტრაპეზუნს კი სომხეთის სასღვრებში არ აყოლებენ. კილიკიის საკითხიც გადაწყვეტელი დაანარჩუნეს. რაც შეეხება ბათომის საკითხს, კონფერენციაზე უმრავლესობა მომხრეა ბათომის საქართველოსთვის გადაცემაზე.

ქურთისტანის საკითხი

სან-რემოდან იტყობინებიან, რომ ქურთისტანის საკითხი კონფერენციამ ჯერ კიდევ ვერ განიხილა. ქურთისტანისთვის ტერიტორიალურ ფარგლებში უნდა თავისი საკუთარი მმართველობა ჰქონდეს. უმაღლესი საბჭო მომხრეა იმისი, რომ ქურთისტანის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისთვის დაარსდეს ცალკე კომისია, სადაც საფრანგეთ-იტალია და ინგლისის წარმომადგენელნი შევლენ.

სამხედრო ცნობა

ტფილისი, 22 მაისი.

რეპუბლიკის გენერალური შტაბის სამხედრო ცნობა.

აქსტაფის გზატკეცილზე ჩვენი პარლამენტიორები შეხვდენ ადერბეიჯანის პარლამენტიორებს. ადერბეიჯანის პარლამენტიორებმა წამოაყენეს დროებითი ზავის პირობით ჩვენი ჯარის წითელ ხიდის იქით დახევა. ამ პირობის აღსრულება ნიშნავს ჩვენი ჯარის უკან დახევას ტ მოწინააღმდეგე ჯარის ხელში მნიშვნელოვან ტაქტიკურ პოზიციის ხელში ჩაგდებას. ისტორიამ არ იცის ისეთი შემთხვევა, როდესაც დროებითი ზავის დროს რომელიმე მხარის ჯარებს უკან დაეხიოს. ეს მოთხოვნა კატეგორიულათ უარყოფილ იქნა.

ზაქათალის მიმართულებით 19 მაისს მოწინააღმდეგის პოსტი, რომელმაც აქტივობა გამოიჩინა, მოიხსნა. მოკლულია 4, დაჭრილია რამოდენიმე კაცი, დანარჩენნი გაიქცენ. ჩვენ დაგვჭრეს ერთი მოხალისე.

გაგრის მიმართულებით—მდ. მეხადირისა და პსოუს ხაზები დემორკაციულათ იქნა აღიარებული. მოწინაღმდეგის ჯარები გასცილდენ მდინარე პსოუს.

დანარჩენ მიმართულებით სიწყნარეა.

21 მაისს ხულოში შესდგა მრავალ რიცხოვანი მიტინგი, რომელსაც დაესწრო 70 სოფლის წარმომადგენელი. მიტინგზე ერთხმათ იქნა დადგენილი, რათა მიესალმონ აჭარაში საქართველოს ჯარის შემოსვლას და გაიგზავნოს ჩვანის ხეობაში დელეგატები და წინადადება მიეცეთ მათ შესწყვიტონ სამტრო მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა სოფლელები, რომლებიც მიტინგს დაესწრენ, იარაღით ხელში წავლენ მათ წინააღმდეგ.

ახალი ამბები

◆ მობილიზაცია 1894—95 დაბადებულთა რესპუბლიკაში და 1888—89 წ.წ. დაბადებულთა ტფილისში მშვენივრად ჩატარდა. 1888—1889 წლებში დაბადებულთა მობილიზაცია მთელ რესპუბლიკაში სასურველად ტარდება.

◆ დღეს, პირველ საათზე სასახლეში და არა ქართულ კლუბში დანიშნულია კრება მთავარ კომიტეტისა და ყველა ორგანიზაციების წარმომადგენელთა, კერძო პირთა, რომელთა შორისაც უნდა განაწილდეს შრომა 29 და 30 მაისის ფრონტის დღეების მოსაწყობათ. ყველა მსურველი უნდა დაესწროს-სამუშაო ბევრია.

◆ ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი დღეს დილის 10 საათიდან სასახლეში მიიღებს ახალგაზდობისაგან დამზადებულ ჩანთებს საჩუქრებითურთ ფრონტზე გადასაგზავნათ.

◆ 26 მაისისთვის დამხმარე კომიტეტი ფულის შეგროვებაზე უარს ამბობს. ამ დიად დღეს მხოლოდ საჩუქრები მიუვა ფრონტს.

◆ ერობის გამგეობის დადგენილებით ა. წ. 21 მაისიდან გაღებულია სასურსათო განყოფილების განკარგულებაში 20000 მან., რომლითაც განყოფილება შეიძენს სხვა და სხვა საჩუქრებს აღმოსავლეთის ფრონტზე მყოფ მებრძოლ მამულიშვილთათვის გასაგზავნათ.

◆ შრომის სამინისტრო ამით ამოწმებს, რომ თუ 25 მაისამდის არ იქნება წარმოდგენილი მომარაგების ფონდიდან სურსათის მიღებისათვის მუშათა და მოსამსახურეთა ძველი სიების მაგიერ ახალი სიები, იმ შემთხვევაში ჯერ აღარ მიეცემათ. ამიტომ ყველა დაწესებულებისა და წარმოების ადმინისტრაცია ვალდებულია საჩქაროთ შეიძინოს დადგენილი ბლანკები შეამსოს იგი და წარმოადგინოს. ბლანკების მიღება შეიძლება შრომის სამინისტროში ყოველ დღე 9—3 საათამდის.

◆ დღეს 23 მაისს მეორე ქართულ კლუბში (კლუხანოვის ქუჩა № 129) იმართება ფრონტის დღე. მთელი საღამოს შემოსავალი გადიდება ფრონტის სასარგებლოდ. კლუბი ღია იქნება ღამის 3-ს საათამდე.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა ფრონტის სასარგებლოდ შესწიროს 100 ათასს მანეთის სანოვაგე.

◆ ქალაქის გამგეობამ 26 მაისის დღესასწაულისთვის გადასდო 75 ათასი მანეთი.

◆ 24 მაისს დილის 10 საათზედ მიწათმოქმედების სამინისტროში დანიშნულია თათბირი ქ. ტფილისის მიდამოებში მუშათა ახალშენების მოწყობის შესახებ. ტფილისის ქალაქის გამგეობამ ამ თათბირზე თავის წარმომადგენლად დანიშნა გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.

◆ მომარაგების სამინისტრომ უცხოეთში შეიძინა დიდი ძალი ხორბალი. ერთი გემი დატვირთული მომარაგების სამინისტროს სახელზე უკვე მოვიდა ბათუმში და მეორე კი ფოთში. ხორბლის გადმოზიდვა უკვე დაწყებულია და იგი უზრუნველჰყოფს მთელ რესპუბლიკას.

◆ როგორც სომხეთის ტელეგრაფის საგენტო იუწყება ბალშევიკების უკანასკნელი ნაწილები ახალ ბაიაზეთიდან განდევნილნი არიან. ამ რიგად მოხდა ბალშევიკების სრული ლიკვიდაცია.

◆ შინაგან საქმ. სამინისტროს რკინის გზის მილიციის უფროსმა აუწყა, რომ რკინის გზის ახლო-მახლო მდებარე სოფლების მცხოვრებნი ტელეგრაფის მავთულებს სწყვეტენ. ამის გამო შინაგან საქმ. სამინისტრომ ცირკულიარი გასცა, რომ სასტიკი ზომები იქნეს მიღებული ამის წინააღმდეგ და დამნაშავენი პასუხისგებაში მისცენ.

◆ თიანეთის ერობის გამგეობასთან დაარსდა თავდაცვითი საბჭო, რომელიც პირველ ყოვლისა შეეცადა მობილიზაციის კარგად ჩატარებას. ამ მიზნით მოწვეული იყო მიტინგები. ვინც გაწვეული იყო თითქმის ყველა უკლებლივ გამოცხადნენ დანიშნულ ვადაზე, მიტინგებზედ ხალხმა ერთხმადაადგინა რომ მთავრობას მხარში ამოუდგებიან და თუ საჭირო იქნება ყველანი გავლენ ქვეყნისა და თავისუფლების დასაცავად.

◆ მშობელთა და ბავშვთა მზრუნველთა საზოგადოების გამგეობამ წარუდგინა მთაარობის თავმჯდომარეს დასამტკიცებლად წესდება და ხარჯთ-აღრიცხვა ამ საზოგადოებისა.

◆ ყარსში ამ ჟამად ფულება—გამგებლობა რუსთა ეროვნულ საბჭოს ხელში გადავიდა.

◆ დღეს, კვირას, საღამოს 5 საათზე, ბიუროს ბინაზე დანიშნულია სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭოს სხდომა. განსახილველია: 1) მოხსენება მანგლისის აგარაკის შესახებ, 2) მოხსენება სასურსათო კომისიის, 3) მოხსენება ქალალდის შეძენის შესახებ და სხვა. სთხოვენ საბჭოს წევრებს და მათ კანდიდატებს დაესწრონ კრებას.

◆ თანახმად რესპუბლიკის ჯარის მთავარ სარდლის წინადადებისა, ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის აღმასრულებელმა ბიურომ ამა მაისის 22-ის სხდომაზე დაადგინა: დაევალოს სამეურნეო განყოფილებას დაუყოვნებლივ გახსნას ჯარისკაცებისათვის საკვები პუნქტი სოფ. შიხლინში, რომელიც რკინის გზის ლიანდაგს დაშორებულია 27 ვერსით. ხოლო პუნქტის საექიმო ზედამხედველობა დაევალა საექიმო სასანიტარო განყოფილების გამგეს ექიმს პ. ლ. კიკალეშვილს.

ჩვენი ბებრძოლნი სიცოცხლეს სწირავენ, ნუ თუ თქვენ ქონება უნდა დაიშუროთ?!

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგად. გამგეობა

საზ. წესდ. 73 § თანახმად ამით აცხადებს, რომ 1920 წლის 25 ივნისს, დილის 11 საათზე, გამგეობის შენობაში, საკუთარ სახლში პუშკინის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაუმეორებლად უძრავი მამული ქვემო ჩამოთვლილ პირთა, მათ მიერ საზოგადოებიდან აღებულ სესხზე ხვედრი გადასახადის შემოუტანლობის გამო, ტფილ. სამოქალაქო საკრედიტო საზოგადოების წესდების §§ 11, 12 და 13 ძალით გაიყიდება. ეს ვაჭრობა, თუ უშედეგო იქნა, მეორედ და უკანასკნელად მოხდება 1920 წ. ივლისის 2. იმ შემთხვევაში, თუ პირველი და მეორე ვაჭრობა ვერ დასრულდა ივნისის 25 და ივლისის 2, 1920 წ., ვაჭრობა მოხდება შემდეგ დღეებში.

774. აიკაზოვი ალექსანდრე შენობები მიწით ზომით 200 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება, მე-6 უბ. ნავთლული (ყოფილი ბალის ქ.) ეხლა მანაევის ქ. დარჩენილი გადასახადი 258 მ. 40 კ.

1140. ზანდუკელი ოთარი სამ სართულიანი სახლი ორი ნაჭერი მიწით ერთი ზომით $23^1/_2$ კვ. ს. მეორე 9,9 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება. მე-2 უბ. ყოფ. 2-რე ნაგორნი ქ., ეხლა პრიუტის ქ. კაპიტ. ვალი 62 მან. 89 კ., დარჩენილი გადასახადი 594 მ. 77 კ.

1305. ხიზანოვი კონსტანტინე (მემკვიდრე) შენობები სამი ნაჭერი მიწით, პირველი ზომით 30 კვ. ს., მეორე 56 კვ. ს. და მესამე 17 კვ. ს. საზოგადოების არხიტექტორის აღწერილობით სამივე შეერთებულია ერთ ნაჭრათ, რომლის საერთო ზომა—9343 კვ. ს. მე-4 უბ. ნორაშენის ქ. და ექიმის (ზახარიევსკის) შესახვევი კაპ. ვალი 1902 მ. 80 კ., დარჩენილი გადასახადი 2638 მ. 77 კ.

1777. სიმონოვი სერგო და ესაიანცი ამბარცუმი მიწის ნაჭერი, ზომით 507 კვ. ს. ან რამდენიც აღმოჩნდება ერთსართულიანი სახლი, ორსართულიანი ფლიგელი და შენობებით 8 უბ. გონჩარნის ქ., კაპ. ვალი 3074 მან. 03 კ., დარჩენილი გად. 1721 მ. 90 კ.

2480. ჩიქოვანი ზაქარია მიწა ზომ. 280 კვ. საჟ. საზოგადოების არიქტექტორის გაზომვით $236^1/_2$ კვ. ს. ორი ორსართულიანი სა-

---

კიდევ რამოდენიმე იერიში და დამარცხებული მტერი დაიჩოქებს ჩვენს წინაშე, საჭიროა მხოლოდ ზურგის სიმაგრე.

ხლით და ორი ორსართულიანი ფლიგელით მე-8 პესკოვისა და დესიმონოვის ქ. კუთხე № 95 კაპ. ვალი 20812 მ. 02 კ. დარჩენილი გადასახადი 3240 მ. 02 კ.

2517. ლიუტი კანონი ორი ნაჭერი მიწა, ერთი ზომ. 100 კვ. ს., მეორე 28 კვ. ს., საზოგადოების არქიტექტორის დღწერით კი შეერთებული ერთ ნაჭრათ ზომ. 156 კვ. ს. შენობებით, 6 უბ., სეიდაბადის ალმართი, კაპიტ. ვალი 2363 მ. 15 კ. დარჩენილი გადასახადი 963 მ. 90 კ.

2564. კვეეს კლარა, მიწა ზომ. 1 დეს. 333 კვ ს. შენობით, 10 უბ., დიდუბე, ელისაბედის ქ., საჯირითო წრის პირდაპირ. კაპ. ვალი 11483 მ. 3 კ. დარჩენილი გადასახადი 1900 მ.

2700. მალინოვსკი იოსებ (მემკვიდრე), ორი ნაჭერი მიწა, ერთი ზომ. 58 კვ. ს., მეორე 30,29 კვ. ს., ან რამდენიც ალმოჩნდება, ორ სართულიან სახლით, მასთან ორი ფლიგელით, რომელთა შორის ერთი ერთ სართულიანია, 2 უბ., მე-3 თეატრალური ტუპ. კაპ. ვალი 3010 მ. 4 კ. დარჩენილი გადასახადი 1337 მ. 84 კ.

2870. სოგომონოვები ავაკი და შამირი სამი ნაჭერი მიწა ზომით $132^1/_2$ კვ. ს., ან რამდენიც ალმოჩნდება ორი სამ სართულიანი სახლით, 5-უბ. ხლებნისა და გეორგიევის მოედნის შესახვევი და ფეთხაინის ქ. კაპ. ვალი 33.804 მ. 32 კ. დარჩენილი გადასახადი 9.648 მ. 32 კ.

3168. ღუდუშაური ივანე და ილია მიწა ზომით 220 კვ. ს., ან რამდენიც ალმოჩნდება ერთ სართულიან სახლათ და ერთ სართულიანი ფლიგელ სარდაფით 8-უბ. დესიმონოვის მოედანი, კაპიტ. ვალი 6.937 მან. 80 კ., დარჩენილი გადასახადი 1·667 მ. 46 კ.

3235. ავან-იუზბაშოვი ხან საგნახსკი დავით სამი ნაჭერი მიწა ზომით ერთი 900 კვ. საჟ., მეორე 183 კვ. ს. და $7^1/_2$-არშ., მესამე —$193^2/_{25}$ კვ. საჟ., ან რამდენიც ალმოჩნდება ყველა მათზე მდებარე შენობებით და კუთვნილობით—2-უბ. გოლოვინის პრ. ევსტაფიევის და ტიპოგრაფიის ტუპ. კაპიტ. ვალი 261.729 მან. 37 კ., დარჩენილი გადასახადი 90.923 მ. 82 კ.

3392. კაზაროვი სოლომონ (მემკვიდრე) მიწა ზომით 90 კვ. ს., ან რამდენიც ალმოჩნდება შენობებით 2-უბ. ჭავჭავაძისა და თბინვალის ქ. შესახვევი კაპ. ვალი 2.988 მ. 88 კ. დარჩენილი გადასახადი 1.220 მ. 13 კ.

3594. სოგომონოვი ავაკ, მიწა ზომ. 181 კვ. ს., ან რამდენიც ალმოჩნდება, ერთ სართულიანი სახლით და ქვის სარაიებით, 8 უბ. პანასევიჩის ქ. კაპიტ. ვალი 4507 მ. 17 კ. დარჩენილი გადასახადი 1483 მ. 10 კ.

4174. იედიგაროვები ისმაილ-ბეკ, ალი-ბეკ, დანიელ ბეკ, კიზი-ხანუმა, ალია-ხანუმა და ნისა-ხანუმა, მიწა ზომ. 5 საჟ. და 5 არშ. კვ. ორსართულიანი სახლით. 5 უბ. რკინის რიგზე, კაპიტ. ვალი 1963 მ. 46 კ. დარჩენილი გადასახადი 999 მ. 33 კ.

4445. პაპიშვილი დავით, მიწა ზომით 100 კვ. ს., ან რამდენიც ალმოჩნდება, 5 უბ. მირზოევისა და სეიდაბატის ქ. კაპიტ. ვალი 4099 მ. 68 კ. დარჩენილი გადასახადი 1184 მ. 45 კ.

4499. ანტონოვები ეკატერინე, ლევანი, პეტრე და ბაგრატი, მიწის ნაჭერი, ზომით 450 კვ. ს. ინ რამდენიც ალმოჩნდება. შენობებით, 3 უბ. ბებუთოვის ქ. კაპიტ. ვალი 20.315. მ. 61 კ. დარჩენილი გადასახადი 3125 მ. 87 კ.

4530. ტფ. კომერციული სასწავლებელი ორი ნაჭერი მიწა, ერთი ზომით, 634 ნახ. კვ. ს., მეორე 202 კვ. ს. ან რამდენიც ალმოჩნდება, შენობებით, 8 უბ. 19-თებერვლისა, პანასევიჩისა და ეკატერინეს ქ., კაპიტ. ვალი 378155 მ. 26 კ., დარჩენილი გადასახადი 36212 მ. 58 კ.

4580. აბაშიძე გიორგი, მიწის ნაჭერი ზომით 106 კვ. საჟ. ან რამდენიც ალმოჩნდება შენობებით, 10 უბ., ტრამვაის ქ. № 2, კაპიტ. ვალი 5029 მ. 51 კ., დარჩენილი გადასახადი 952 მ. 83 კ.

4918. ახანაზაროვა ეკატერინე, მაწა ზომით 150 კვ. ს. ან რამდენიც ალმოჩნდება. ორსართულიანი სახლით და სარდაფით. სამი ორსართულიანი და ერთი ერთსართულიანი ფლიგელით, 8 უბ., სურპ- კარაპეტის ალმართი, კაპიტ. ვალი 8640 მ. 87 კ., დარჩენილი გადასახადი 1389 მ. 23 ვ.

5167. ვარძიგულოვი ალექსანდრა, მიწა ზომით 72 კვ. ს. ან რამდენიც ალმოჩნდება ორსართულიანი სახლით, ერთი ორ-სართულიან და მეორე ერთსართულიანი ფლიგელით, 7 უბ., პოკროვსკის ქ., № 18, კაპიტ. ვალი 5.233 მ. 65 კ. დარჩენილი გადასახადი 1.471 მ. 14 კ.

5260. ბრიგადირ ოვსეი, მიწა ზომით $50^7/_8$ კვ. ს., ან რამდენიც ალმოჩნდება შენობებით, 1 უბ. ვერის დაღმართი, კაპ. ვალი 10.558 მ. 18 კ. დარჩენილი გადასახადი 1.234 მან. 47 კაპ.

5495. რუდაკოვ ვასილი და გოლუბკოვი ივანე, მიწის ნაჭერი ზომით 307,2 კვ. ს., ან რამდენიც ალმოჩდება შენობებით 8 უბ. დესიმონოვის ქ., კაპიტ. ვალი 21.496 მ. 21 კ. დარჩენილი გადასახადი 3.329 მ. 24 კ.

5505. ასრიევ ბარსეგ, იგივე ვასილი, მიწის ნაჭერი, ზომით 242 კვ. ს., ან რამდენიც ალმოჩნდება შენობებით, 9 უბ. ვორონცოვის განაპირა ქ., კაპ. ვალი 17.555 მ. 26 კ., დარჩენილი გადასახადი 2.694 მ. 64 კ.

5793. ტამაშევი ვარვარა, ნინო, სოფიო, იური და ალექსანდრა, მიწა ზომით 432 კ. ს., ან რამდენიც ალმოჩნდება, 1 უბ. ოლოლას ქ., კაპ. ვალი 12.744 მ. 75 კ. დარჩენილი გადასახადი 1.394 მ. 76 კ.

5857. კრიხელი ზებულონი, მიწის ნაჭერი ზომით 63 კვ. ს., ან რამდენიც ალმოჩნდება, შენობებით, 1 უბ. მლეთის შესახ. და მლეთის ტუპ. წკუთხე, კაპ. ვალი 11.834 მ. 41 კ. დარჩენილი გადასახადი 2.087 მ. 77 კ.

5907. სტანიშევსკი ვასილი, მიწა ზომით $153^5/_9$ კვ. საჟ., ან რამდენიმე ალმოჩნდება ორსართულიანი სახლი სარდაფით ისეთივე ფლიგელით, 2 უბ. არტილერიისა და სალდათის ქ. კაპიტ. ვალი 18,206 მან. 79 კაპ., დარჩენილი გადასახადი 5104 მან. 27 კ.

6156. პრინც ემირ კიაზიმ მირზა კაჯარი, ორი ნაჭერი მიწა, ერთი ზომით 43,50 კვ. ს.; მეორე 82,85 კვ. საჟ., ან რამდენიც ალმოჩნდება შენობებით 1 უბან. ყაზბეგის ქ., კირპიჩნის და გუნიბის შესახვევი. კაპიტ. ვალი 34,424 მან. 87 კ., დარჩენილი გადასახადი 2,147 მ. 29 კ.

6173. ხან-პირა ფრიდრიხ-იოსებ, გუსტავალბერტი, მელქისედეგ-იონის იოგანესი, ფეინდრიხ-კარლ, ვილგელმ-ვიქტორ და ანნამაგდალინა. მიწა ზომით 744,895 კვ. ს., ან რამდენიც ალმოჩნდება ორსართულიანი სახლით ნაწილი სამსართულიანი, სამი ერთსართულიანი და ერთი ორსართულიანი ფლიგელებით 10 უბ. მიხეილის პრ. კაპიტ. ვალი 171,660 მან. 68 კ., დარჩენილი გადასახადი 10580 მან.

7131. მელიკოვა აშხენ, მიწის ნაჭერი ზომოთ $3308^2/_3$ კვ. საჟ., ან რამდენიც ალმოჩნდება 1 უბან. ოლოლას ქუჩა, კაპიტ. ვალი 58754 მან. 24 კ., დარჩენილი გადასახადი 5605 მან. 72 კ.

ვაჭრობა დაიწყება ზემო აღნიშნულ ვალის გადასახადის ხვედრი ფულის, დამატებით საერთო ჯამით; ამასთანავე მამულზე შერიცხული საქალაქო გადასახადი, აგრეთვე საერობო, სახელმწიფო და სახაზინო გადასახადების შეტანა მყიდველთა ვალდებულება იქნება. საზოგადოებისადმი კაპიტალური ვალი შეიძლება გასწორდეს საზოგადოების ობლიგაციებით შესაფერათ სესხზე მათი ნომინალურ ღირებულების მანეთი მანეთზე აგრეთვე შეიძლება გადავიდეს მყიდველებზე, სასწრაფო გადასახადი და სხვა გადაუხდელი კი გასწორდება ნაღდ ფულზე.

წესდების § 73 თანახმად ვაჭრობის დაწყებამდე მოვალეს უფლება ეძლევა შეიტანოს გადაუხდელი ფული პროცენტებითა ვადის გასვლისათვის და ყველა გასავალი, რომელიც დასჭირდა მამულის ვაჭრობაში დანიშვნას და ამით გაანთავისუფლოს მამული გაყიდვისაგან.

ყველა ქაღალდი, საბუთი, რომელიც ეხება გასაყიდელ მამულს მსურველთ შეუძლიანთ განიხილონ, აგრეთვე მიიღონ საჭირო ცნობები და ამბავი ვაჭრობის პირობათა შესახებ საზოგადოების გამგეობაში დილის ათ საათიდან შუადღის ორ საათამდე, კვირა და ტაბელის დღეების გარდა. 539 1—1

ბართლომე ალექსის ძე კილაძე აცხადებს გაუქმებულათ ვექილობას № 2504 მიცემულს მის მიერ კარილე ალექსის ძე კილაძეზე და შედგენილს ტფილისის ნოტარიუსს კარაკაშთან 1919 წ. ოქტომბრის 4-ს. 1133 3—1

დაიკარგა ასიგნობებები №№ 9554, 9556, 9557, 9558, 9559, 9560, 9561, 9562, 9567, 9568,, და 9569 მიცემული ტფილისის ქალაქის სამმართველოდან ბართლომე ალექსის ძე კილაძის სახელზე, სულ 150.000 მანეთის. გაუქმებულათ ჩაითვალოს. მპოვნელს სთხოვენ დაუბრუნოს მისამართით: ველიამინოვის ქ., № 3, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს. 1132 3—1

დაიკარგა გორის გიმნაზიიდან მიღებული მოწმობები №№ 10 და 11 დავით და შოთა ილიას ძე ალხაზიშვილების სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1155 3—1

ქ. ტფილისის მე-16 სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ნიკოლოზ იაგორის ძე არგუტინსკი-დოლგორუკოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება არგუტინსკი დოლგორუკოვის ქონებაზე. სამ. კან. კრებ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 763 1—1

დაიკარგა პასპორტი № 88 ედუ სიმონის ასული გეთიას სახელზე, მიღებული ზუგდიდის მაზრის მართველობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ) 3—1

დაიკარგა პასპორტი № 4347 ნიკოლოზ სულხანის ძე სულხანიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1158 3—1

დაკარგულია სამხედრო ბეგრის ვადის გაგრძელების მოწმობა № 178 აკაკი ივანეს ძე ქარჩავას სახელზე, მიღებული ზუგდიდის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1156 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა ალექსი სიმონის ძე ჯაფარიძის სახელზე, მიღებული მე- 11-ტე ბათალიონიდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1091 3—1

დაკარგულია უვადო პასპორტი № 117, მიღებული ბორჩალოს მაზრის პოლიციის სამმართველოდან ისაკ ტერ-ოსიპის ძე ოვანიანცის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1034 3—1

დაიკარგა პასპორტი № 2787 სპარსეთის ქვეშევრდომი ჯავად ვახრატოვის სახელზე, მიღებული განჯის სპარსეთის კონსულისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1110 3—1

დაიკარგა სამხედრო უფროსის მიერ მოცემული მოწმობა სამხედრო ბეგრიდან ერთი წლით განთავისუფლების შესახებ ერთი წლის მოწმობა. გაუქმებულათ ჩაითვალოს. პატ. აკაკი ალ. ვასაძე. 1079 3—1

დაიკარგა ასატურის შესახვევში № 17 მდებარე მარიამ ოსკონოვის სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს 1094 3—1

დაიკარგა პასპორტი გერასიმე (იგივე არიუთინ) ეგორის ძე ვართანოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1099 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 286 ლაზარე გიორგის ძე მათიაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1911 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1065 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლების მოწმობა გიორგი ილიას ძე ჩაგორიძეს სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო ღრიცხვის უფროსისაგან 1920 წ. 12 მაისს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1067 3—1

დაიკარგა პასპორტი № 21 რუბენ სტეფანის ძე ბეგიევის სახელზე, მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან 1915 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1101 3—1

დაიკარგა ტფილისის კულტურ-ტეხნიკური სასწავლებლის მესამე კლასის აგრონომიულ განყოფილების მოწაფის სერგი ელენტის სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 346. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ) 3—2

დაიკარგა ვასილი (იგივე ვართანი) ტერ ოგანეზის ძე სუზაეჯიანცის სახელზე შემდეგი საბუთები: პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან; ბილიარდის ნებართვა და პატენტი და 5000 მ. ხელწერილი სიმონ ჩადუნელის მიერ მოცემული და სხვა ხელწერილები. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1096 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა მილიციონერი ნიკოლოზ ფილიპეს სე ჯიბლაძის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის უფროსს სამმართველოდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს.

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 147 ბიქტორ გიორგის ძე დარსაველიძის სახელზე, მიღებული დიდი ჯიხაიშის სამმართველოდან 1912 წელს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1089 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი ალექსანდრე მილოვის სახლის, მდებარე მე-5 სამილიციო რაიონში დირსაჩალის შესახვევში № 7, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—2

დაიკარგა დისმენოვის ქუჩაზე № 20 მდებარე მიხეილი პეტრიასლავცევის სახლის დავთარი, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1102 3—1

დაიკარგა პასპორტი № 842 ავეტიკ ოგანეზას ძე გაბრიელოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1063 3—2

დაიკარგა 1919 წ. საბინაო წიგნაკი ელისაბედ მოსეს ასულის გრიქურეოვას სახლისა, რომელიც მდებარებს სურფ მინასის შესახვევში. გაუქმებულათ ჩამთვალოს. 1086 3—2

აკაკი ილიას ძე კაკაბაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქუთაისის რეალურ სასწავლებლიდან 1914 წელს მიღებული სიმწიფის მოწმობა. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1129 3—2

დაიკარგა ტფილისის ქართულ გიმნაზიაში ოთხი კლასის დამთავრების მოწმობა გიორგი ტარასის ძე ჩინჩალაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1115 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრის მოხთის ვადის გაგრძელების მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსის სამმართველოდან გრიგოლ სამსონის ძე მომცელიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1017 3—2

დაიკარგა ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლის შვიდი საგიმნაზიო და მერვე სამასწავლებლო კლასის დამთავრების მოწმობები ალექსანდრა ალი გარდაფხაძის ასულის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1062 3—3

დაიკარგა 1900 წ. დაბადებულთა ჯარში გასაწვევ სიაში შეტანის მოწმობა ალექსანდრე დავითის ძე ზაქარიძის სახელზე, მიღებული 1 კომისარიატიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1107 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა ვასილ ჩხუბიანიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 936 3—3

დაიკარგა პარიკმახერთა პროფესიონალურ კავშირის წევრობის წიგნაკი იაკოფ არიუტინის ძე სირონიანცის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 937 3—3

დაიკარგა სასურსათო წიგნაკი № 6294 პეტროს ავდალოვის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 934 3—3

დაიკარგა პასპორტი № 6437 მატრონა სერგოს ასული გურგენიძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 935 3—3

ნახშირა-ტყიბულის
სამთო-მადნო საზოგადოების სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან მომხდარ შეთანხმების გამო საზოგადოების ქონების გაყიდვის შესახებ და თანახმათ 1920 წ. 24 აპრილს მომხდარ აქციონერთა საერთო კრების დადგენილებისა, ხდება საზოგადოების ლიკვიდაცია, რის გამო ბ. აქციონერები უნდა გამოცხადნენ საზოგადოების გამგეობაში, სოლოლაკის ქუჩა, № 14, და წარმოადგინონ თავიანთი აქციები 1920 წ. 1 ივნისამდე, რათა მიიღონ ხვედრი ფული 900 მანეთი თვითეულ აქციაზე. 929 2—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. ალმ. გრიგოლ ბაჭავარიანი.